იყო დაჯგუფებული: ერთ მხარეს იდგა – სუსტი "ხოსროიანი" ლეგიტიმური მეფე, ერისთავები, (რომლებიც თავიანთი სახელოებისა და სამფლობელოების სამემკვიდრეოდ დაკანონებისათვის ზრუნავენ) და არაბული მმართველობა (რომელსაც ჯერ კიდევ გადამწყვეტი გამარჯვება კავკასიაში არ ჰქონდა მოპოვებული და ადგილობრივ დასაყრდენს საჭიროებდა ლეგიტიმური მმართველის სახით). მეორე მხარეს იდგა – ერისმთავრების იდეოლოგია, ბიზანტიური ორიენტაცია, ბიზანტიური პოლიტიკური მხარდაჭერა და სახელმწიფო ტიტულატურა, რომელიც ბიზანტიის სახელმწიფოს პოლიტიკური თეოლოგიით უნდა ყოფილიყო გამყარებული.

"არჩილის ცხოვრების" სიმბოლიზმის, იდეების, სოციალური და პოლიტიკური პროგრამის განხილვამ დაგვარწმუნა, რომ ეს თხზულება არის მოვლენათა თანამედროვის მიერ აღწერილი ავთენტური წყარო. ამასთანავე ის ძლიერ იდეოლოგიზებული ნარატივია და ამიტომაც ისტორიულ სიმართლეს ძალზე სპეციფიკური სახით წარმოაჩენს. სამაგიეროდ, "არჩილის ცხოვრება" ძვირფასი წყაროა VII-VIII საუკუნეების საქართველოში სოციალური და კულტურული იდენტობების, იდეოლოგიური და პოლიტიკური მიმართულებებისა და განწყობილებების შესახებ.

საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური
ენციკლოპედია IV-XIII II. VII ლექსი

თავი V
ტერიტორიული და კულტურული იდენტობები გაქრისტიანების კონტექსტში

ტერიტორიული იდენტობა ადამიანის ეროვნული თვითცნობიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ამ ცნობიერების განვითარების ყველა საფეხურზე. იქნება ეს ეთნიკური თუ ნაციონალური იდენტობა.

ზემოთ არაერთხელ ხსენებული ნაციისა და ეთნოსის თეორიის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული თანამედროვე მკვლევრის, ენტონი სმითის აზრით, ნაციის სტანდარტული დასავლური მოდელის ძირითადი კომპონენტებია: "ისტორიული ტერიტორია, სამართლებრივ-პოლიტიკური საზოგადოება, და საერთო სამოქალაქო კულტურა და იდეოლოგია". ე. სმითის მიერ ჩამოყალიბებული ნაციონალური იდენტობის ძირითადი მახასიათებლების ჩამონათვალი ასეთია: ისტორიული ტერიტორია, ან სამშობლოს საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება, საერთო საზოგადოებრივი მას-კულტურა, ყველა წევრისთვის საერთო სამართლებრივი უფლებები და მოვალეობები, საერთო ეკონომიკა წევრთა ტერიტორიული მობილურობით [სმითი 2008:17].

სმითი დეტალურად ეხება თითოეულ ამ კომპონენტს. აი რას ამბობს ის ტერიტორიული იდენტობის როლის შესახებ ნაციის იდენტობის დასავლურ მოდელში:"მოდით, უფრო დეტალურად განვიხილოთ ნაციის ეს დასავლური 'სამოქალაქო' მოდელი. უპირველეს ყოვლისა, ეს არის სივრცული თუ ტერიტორიული კონცეფცია. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ნაცია უნდა ფლობდეს კომპაქტურ, კარგად განსაზღვრულ ტერიტორიას. ადამიანები და ტერიტორია, ასე ვთქვათ, უნდა ეკუთვნოდნენ ერთმანეთს ისე, როგორც ამას ჰოლანდიელების შემთხვევაში ვხედავთ. ადრეული ჰოლანდიელები საკუთარ თავს განიხილავდნენ როგორც მადალი ზღვებისგან ჩამოყალიბებულ ხალხს, რომელმაც გამოჭედა (სიტყვასიტყვით) ის მიწა, რომელსაც ფლობს და თავის საკუთრებად აქცია. მაგრამ ასეთი მიწა არ შეიძლება იყოს ნებისმიერ ადგილას; ის არ არის ჩვეულებრივი მიწის ფართობი. ის არის და უნდა იყოს 'ისტორიული' მიწა, 'სამშობლო', ჩვენი ხალხის 'აკვანი' მაშინაც კი (როგორც ეს

თურქების შემოხვევაშია), როცა ის პირველსაცხოვრისს არ წარმოადგენს. 'ისტორიული მიწა-წყალი' არის იქ, სადაც ადგილი და ხალხი განიცდიდა კეთილისმყოფელ ურთიერთზეგავლენას საუკუნეების მანძილზე. სამშობლო ხდება ისტორიული მეხსიერებისა და ასოციაციების საცავი, ადგილი, სადაც "ჩვენი" ბრძენი წინაპრები, წმინდანები და გმირები ცხოვრობდნენ, შრომობდნენ, ლოცულობდნენ და იბრძოდნენ. ყოველივე ამის გამო მშობლიური მიწა უნიკალური ხდება. მისი მდინარეები, სანაპიროები, ტბები, მთები და ქალაქები 'საკრალურ' მნიშვნელობას იძენს. ამ თაყვანისცემისა და აღფრთოვანების ადგილების მნიშვნელობას შეიძლება ჩაწვდნენ მხოლოდ განდობილნი, რაც ნიშნავს, ნაციის თვითშეგნების მქონე წევრები. ასევე, ამ მიწის ბუნებრივი რესურსებიც მხოლოდ მისი ხალხის კუთვნილებაა, 'უცხოები' მას ვერ მოიხმარენ და ვერ გამოიყენებენ. ნაციონალური ტერიტორია თვითკმარად უნდა იქცეს. ავტარქია არის როგორც სამშობლოს საკრალურობის დაცვის, ასევე ეკონომიკური ინტერესებით ნაკარნახევი [სმითი 2008:12-13].

ტერიტორიული იდენტობა ეთნიკური იდენტობისათვის, შესაძლოა, ისეთი განმსაზღვრელი ელემენტი არ იყოს, როგორც ეს ნაციის დასავლურ მოდელშია, მაგრამ ტერიტორიული მიჯაჭვულობისა და ტერიტორიული სიმბოლოების მნიშვნელობა აქაც დიდია. მოვუსმინოთ ისევ სმითს. ეთნიკური ერთობაში, რომელსაც თავად ავტორი ფრანგული სიტყვით *ეთნი (ethnie)* აღნიშნავს, და რომელშიც კარგად ჩამოყალიბებულ ეთნიკურ თვითცნობიერებას (შეიძლება მას ისტორიულ-კულტურული თვითცნობიერებაც ვუწოდოთ) გულისხმობს, გამოყოფს რამდენიმე ატრიბუტს. ესენია: კოლექტიური საკუთარი სახელი, საერთო წინაპრის მითი, ზიარი ისტორიული მეხსიერება, საერთო კულტურის ერთი ან მეტი განმასხვავებელი ელემენტი, განსაკუთრებულ მშობლიურ მიწა-წყალთან ასოცირება, სოლიდარობის შეგნება პოპულაციის მნიშვნელოვან ნაწილში [სმითი 1991:24].

როგორც ვხედავთ, ტერიტორიული იდენტობა *ეთნის* იდენტობის ერთ-ერთ (რიგით მეხუთე ადგილზეა) აუცილებელ კომპონენტად იგულისხმება, თუმცა მისი ადგილი და მნიშვნელობა ალბათ სხვადასხვა ეთნიკური ერთობის შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს.[3]

[3] *ეთნის* და ეთნიურობის სხვადასხვა დეფინიციაში შეიძლება განსხვავებულ პოზიციაში იყოს დასმული ტერიტორიული ელემენტი. მაგალითად, რენფრიუ ასეთ ჩამონათვალს გვთავაზობს: საერთო ტერიტორია ან მიწა-წყალი,საერთო ჩამომავლობა, საერთო ენა,წეს-ჩვეულებებისა თუ კულტურის ერთობა, რწმენა-წარმოდგენების ან რელიგიის ერთობა. სახელი ან ეთნონიმი, რომელიც ჯგუფის

ენტონი სმითი *ეთნის* ცნობიერებაში ტერიტორიულ იდენტობის მითოლოგიურ და სუბიექტურ ასპექტებს უსვამს ხაზს. **კერძოდ ის წერს:**

"ასევე, შეიძლება გარკვეულ ტერიტორიულ სივრცეებთან და მასში არსებულ განსაკუთრებულ ადგილებთან დამოკიდებულებას ჰქონდეს მითიური და სუბიექტური ხასიათი. სწორედ ეს კავშირები და ასოციაციებია უფრო მნიშვნელოვანი ეთნიკური იდენტიფიკაციისთვის, ვიდრე ამ ტერიტორიაზე ცხოვრება ან მისი ფლობა. ეს არის ის, რასაც ჩვენ ვეკუთვნით. ხშირად ეს არის საკრალური მიწა, ჩვენს მამა-პაპათა, ჩვენს რჯულმდებელთა, ჩვენს მეფეთა, ჩვენს ბრძენთა – პოეტთა და მღვდელთა მიწა, და ამიტომ არის ის ჩვენი სამშობლო. ჩვენ ისევე ვეკუთნით მათ, როგორც ისინი გვეკუთვნიან ჩვენ. *გარდა ამისა*, სამშობლოს საკრალური ცენტრი ეთნის წევრებს მის გარშემო შეიკრებს, ანდა შორიდან შთააგონებს მათ, ვინც ხანგრძლივ გადასახლებაში იმყოფება. ამდენად, ეთნის ძლიერი ნოსტალგიისა და სულიერი კავშირის დამყარების მეშვეობით შეუძლია იარსებოს ისეთ სიტუაციაშიც, როცა ის ხანგრძლივად გაყრილია სამშობლოს. ასეთია შეტწილად ისეთი დიასპორული ერთობის ბედი, როგორიც არიან ებრაელები და სომხები"[სმითი 2008: 291].7

როგორც ვხედავთ, ავტორი ეთნის ცნობიერებაში დიდ როლს ტერიტორიის საკრალიზაციას და სივრცის მითოლოგიურ-სიმბოლურ გააზრებას უსვამს ხაზს. ისიც ადვილი შესამჩნევია, რომ ნაციის, მაშასადამე ეროვნული ცნობიერების დასავლური მოდელის განხილვის დროსაც არც თუ პატარა ადგილი ასეთსავე მითოლოგიური მნიშვნელობით დატვირთულ ტერიტორიას ეკუთვნის. სამშობლო არ არის ნეიტრალური სივრცე, ის არის "ჩვენი" ტერიტორია და "ჩვენი" წინაპრების (დროის განზომილება შემოდის სივრცეში!) საქმეებით (კულტური ელემენტი იჭრება!) მონიშნული და განწმენდილი.

დიქოტომია "ჩვენსა" და "უცხოს", "შიგა" და "გარე"-ს შორის ადამიანის სივრცული ორიენტაციის და სივრცული დამოკიდებულებების უნივერსალური მოდელია. ასეთ დამოკიდებულებებზე ლაპარაკობს მირჩა ელიადე, როდესაც ის დროისა და სივრცის საკრალიზაციაზე, პროფანულსა და საკრალურ სივრცეზე მსჯელობს. სივრცის საკრალიზაციის გზით იქმნება "ჩვენი" ტერიტორია; ეს კი რელიგიურ ცნობიერებაში, პროფანულ

იდენტობას გამოხატავს, თვით-ცნობიერება, თვით-შეგნება. საერთო ისტორია ამ წარმომავლობის მითი[რენფრიუ 1995:125-137 ციტირებულია წიგნიდან [ლორენსი 2001].

სივრცეში საკრალური დროის შემოჭრის გზით ხორციელდება. სივრცე უნდა გახდეს imago mundi, აქ უნდა პერიოდულად განახლდეს და განმეორდეს "შესაქმე", უნდა აღდგეს "ის დრო, როცა ეს ყოველივე იქმნებოდა" [ელიადე 1996]. ამგვარად, "ჩვენი" სივრცის აღქმა ადამიანისათვის დაკავშირებულია საკრალურობასთან, სიმბოლოებთან (იქნება ეს რელიგიური შინაარსის, კულტურულის, ისტორიულის თუ ეთნიკურის). "ჩვენი" სივრცე ყოველთვის იყო და არის ის ადგილი, სადაც არ არის "უცხო", "სხვა", "უცნობი" და, ამდენად, "არა ჩემი", "საშიში" ტერიტორია. რელიგიური იდენტობის ცვლილების კონტექსტში, ბუნებრივია, ხდება სივრცის, ტერიტორიის ხელახალი გააზრება უკვე ახალი რელიგიური სიმბოლიზმის საშუალებით. ამდენად, საფიქრებელია, რომ ქრისტიანიზაციის პროცესი ერთგვარი სტიმულის როლს შეასრულებდა, რათა ერთობას მოენიშნა საკრალური შინაარსით დატვირთული ქსელი "თავის" საკუთარ ტერიტორიაზე.

ტერიტორიული იდენტობა თანაცხოვრების ნებისმიერ დონეზე შეიძლება დადასტურდეს: ოჯახს, თემს, პოლისს, ეთნოსსა თუ ნაციას საკუთარი, მისთვის სპეციფიური ტერიტორიული იდენტობა ახასიათებს. შეიძლება ლაპარაკი ტერიტორიული იდენტობის (ისევე როგორც საერთოდ იდენტობის) სხვადასხვა დონეებზე. ერთი იდენტობა კი არ აუქმებს მეორეს, არამედ "გადაფარავს" მას. მაგალითად, დღევანდელ მსოფლიოში აქტუალურია რეგიონული ან გლობალური სივრცის მიმართ იდენტობის ჩამოყალიბება. ეს კი ხდება არა ნაციონალურ-ტერიტორიულ იდენტობასთან დაპირისპირებით, არამედ მისი "შემოყვანით" ამ სივრცეში [სმითი 2008:143-179]. რომის იმპერია შესანიშნავი მაგალითია ამ თვალსაზრისით. აქ ერთსა და იმავე დროს არსებობდა რომის, როგორც პოლისის იდენტობა, რომელიც სამოქალაქო ცნობიერებაზე იყო დაფუძნებული, ამავე დროს ყალიბდებოდა ე.წ. *Tota Italia-ს* (მთელი იტალია) ცნობიერება, რომელიც თავის მხრივ მოიცავდა სხვადასხვა ტომთა თვიშეგნებას და მათ ტერიტორიულ იდენტობებს, არსებობდა ასევე ერთიანი რომაული სივრცის ოიკუმენური (იმპერიული) ცნობიერება. (ლორენსი 2001)

ტერიტორიული იდენტობა არის საზოგადოების ცნობიერებაში არსებული "ჩვენი" ტერიტორიის წარმოსახვითი ხატი. როგორ იქმნება ის? ამ იდენტობის შექმნის პროცესი საუკუნეები გრძელდება, როგორც სმითი ამბობს, ეს არის პროცესი, რომლის დროსაც "ადგილი და ხალხი განიცდიდა კეთილისმყოფელ ურთიერთზეგავლენას საუკუნეების მანძილზე". ეს პროცესი

მართლაც ორმხრივია, ერთის მხრივ, საზოგადოება ტოვებს თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების კვალს გარკვეულ ტერიტორიაზე: აგებს ციხეებს, ეკლესიებს, ძეგლებს, ქმნის "ჩვენი" ტერიტორიის მენტალურ ხატებს: წერს ისტორიებს, გეოგრაფიებს, წმინდანთა და გმირთა ცხოვრებებს, რომლებიც ჩვენი ტერიტორიის კონკრეტულ ნაწილებში ხდება და, ამდენად, ამ ტერიტორიებს სიმბოლური მნიშვნელობებით ავსებს. მეორეს მხრივ, ამ შემოქმედების შედეგად შექმნილი ლანდშაფტი უკვე გარედან ზემოქმედებს ადამიანზე და მისი იდენტობის ფორმირებას უწყობს ხელს.

მაშასადამე, კოლექტიურ იდენტობაზე ზემოქმედებს საზოგადოების გარემომცველი სივრცეც: იქნება ეს ქალაქური გარემო, რელიგიურ-საკულტო სივრცე თუ ერთობის კუთვნილი, მშობლიური ტერიტორიის იდეალური მოდელი-სიმბოლო. როგორც დევიდ პეტსი წერს, "სოციალური და კულტურული იდენტობების დაგეგმვისა და განხორციელების... ერთ-ერთი საშუალება არის... რიტუალური და ქალაქური სივრცის ორგანიზება".

როგორც წესი, ხდება ისე, რომ კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე ზემოქმედებს და ლანდშაფტის კონტროლს ახორციელებს ძალაუფლებისა და მატერიალური რესურსების მფლობელი ელიტა [ლორენსი 2001:79]. მას, ბუნებრივია, იდეოლოგიური მიზნებიც ამოძრავებს. ასე რომ, ლანდშაფტის ინტერპრეტაციამ ამ კუთხით, შესაძლოა, საინტერესო იდეოლოგიური ხასიათის ინფორმაცია მოგვცეს.

სივრცის ორგანიზების მეშვეობით გარკვეული დასკვნები შეიძლება მოცემული საზოგადოების რელიგიურსა და კულტურულ იდენტობაზეც გაკეთდეს. იდეოლოგიური თუ რელიგიური მიზნებით ორგანიზებული გეოგრაფიული თუ კოსმოლოგიური სივრცე, თავის მხრივ, ყოველდღიური ცხოვრების პროცესში ახდენს "ადამიანის ცნობიერებაში იმ სტრუქტურებისა და სტრატეგიების ჩანერგვას, რომელიც შემდგომ საზოგადოების ფორმირებას იწვევს" [ლორენსი 2001:79].

ზემოთქმულის გამო თანამედროვე ისტორიოგრაფია ადამიანის, საცხოვრებელ გარემოს, სივრცეს, ლანდშაფტს აღარ განიხილავს მხოლოდ როგორც ადამიანისაგან იზოლირებულ ობიექტურ რეალობას. ლანდშაფტს ის იხილავს ადამიანის აღქმასა თუ შემოქმედებასთან მჭიდრო კავშირში: "ლანდშაფტის პუნქტები აღარ არიან უბრალოდ ნეიტრალური არეები, რომლებიც თავიანთ თავში და თავიანთი თავისათვის არსებობენ. არამედ ისინი არიან მნიშვნელობით აღსავსე ადგილები, რომლებიც საკუთარ მნიშვნელობას სხვა სივრცეებთან, მატერიალურ საგნებ-

თან თუ ადამიანების არსებობა-არარსებობასთან კავშირში იძენენ" [ლორენსი 2001:81-82].

რელიგიური და კულტურული იდენტობის ფორმირების პროცესში განსაკუთრებული ადგილი საკრალური სივრცის ორგანიზებას უჭირავს. უკვე არსებობს მცდელობა, რომ გამოიკვეთოს მეცნიერების სპეციფიური დარგი, რომელიც გულისხმობს არა იზოლირებულად არქიტექტურის, სახვითი ხელოვნების, რიტუალური თუ ვერბალური შემოქმედების შესწავლას, არამედ ერთიანი საკრალური სივრცის ორგანიზების პროცესის შესწავლას, რომელიც ყველა ამ კომპონენტს ურთიერთკავშირში განიხილავს. ასეთ მიდგომას ზოგი მკვლევარი *ჰიეროტოპიას* უწოდებს [ლიდოვი 2006:9-31]. ალექსეი ლიდოვი ამ დარგის დეფინიციას ასე წარმოადგენს:

> "ჰიეროტოპია ეს არის საკრალური სივრცეების შექმნა, რომელიც განიხილება როგორც შემოქმედების განსაკუთრებული სახე, ასევე როგორც ისტორიული კვლევის სპეციალური სფერო, სადაც გამოვლინდება და გაანალიზდება ამ ტიპის შემოქმედების კონკრეტული მაგალითები" [ლიდოვი 2006:10].

რელიგიური მოქცევა ძალზე აქტიური შემოქმედების ხანაა სწორედ ამ თვალსაზრისით. ახალი რელიგია ახალ იდეოლოგიურ ამოცანებს დასახავს ინტელექტუალური და ძალაუფლების მქონე ელიტის წინაშე. ახალი სიმბოლოთა სისტემის, მითების და იდენტობების დანერგვის აუცილებლობას მოაქვს სივრცისა და ლანდშაფტის ახლებური დაგეგმვის, რეალიზებისა და გაგაზრების პროცესი. სწორედ ამ პროცესის თვალის გადევნება ძალზე კარგად დაგვანახვებს თუნდაც ერთ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება წარიმართოს კონკრეტულ საზოგადოებაში რელიგიური და კულტურული იდენტობის ქმნადობის პროცესი, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი ნამდვილად არის ახალი საკრალური სივრცის მშენებლობა (ორგანიზება) ან, რაც იგივეა, ახალი ჰიეროტოპიული პროექტის დაგეგმვა და განხორციელება.

ჰიეროტოპიული პროექტების კვლევას ძალზე ნაყოფიერად არქეოლოგიური, არქიტექტურული, სახვით-ხელოვნებითი, რიტუალური, ლიტურგიული, ვერბალური მასალის საფუძველზე ახდენენ. ამ თვალსაზრისით ნარატიული წყაროების (აგიოგრაფიული ტექსტების თუ იდეოლოგიურ-ისტორიული ნარატივის) გამოყენებაც ძალზე საინტერესოა. განსაკუთრებით, როცა ეს ტექსტები საკრალური ან პოლიტიკური სივრცის ერთგვარ ვერბალურ კომენტარს წარმოგვიდგენს.

ქართლის მოქცევის ამსახველი ტექსტები მდიდარ მასალას იძლევა ამ პრობლემის საკვლევად. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიზანდასახულობით „მოქცევაი ქართლისაი", „ქართლის ცხოვრება" და სხვა ისტორიული ტექსტები არ ყოფილა შესწავლილი. მათზე დაკვირვება კი საკმაოდ რელიეფურ სურათს იძლევა საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე, ყოველ შემთხვევაში, იმ ხანამდე, როცა ქვეყნის ჰიეროტოპიულმა ხედვამ კულმინაციას მიაღწია.

რაში მდგომარეობს ჰიეროტოპიის პრინციპი და რა განაპირობებს მას? პასუხი თითქოს მარტივია. იგი მდგომარეობს იმ უბრალო ფაქტში, რომ ადამიანს, ადამიანთა კოლექტივს აქვს მოთხოვნილება, იცხოვროს იმ სივრცეში, რომელიც მის მენტალობას (რელიგიურ, კულტურულ და სხვა) შეესატყვისება. ადამიანი თავად აწყობს და აწესრიგებს თავის სასიცოცხლო სივრცეს და, როგორც კულტუროგენური და რელიგიური არსება, თავის ყაიდაზე, ღირებულებების მიხედვით გარდაქმნის მას. ეს მოთხოვნილება და მზაობა ლანდშაფტის, ტერიტორიის, ზოგადად, სივრცის გარდასაქმნელად თავს იჩენს გარდატეხების ხანებში, როცა ქვეყანა (ხალხი) ახალ რეალობათა მიღების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდება.

როდესაც საქართველოში გაქრისტიანების პროცესის თანმხლები კულტურული და ტერიტორიული იდენტობის ცვლილებას ეკვლევთ, ორი ტიპის ნარატიულ ტექსტს უნდა დავეყრდნოთ. ეს არის საკუთრივ ქართლის გაქრისტიანების შესახებ თხრობა ("მოქცევაი ქართლისაი" და მასში შემავალი "წმ. ნინოს ცხოვრება") და "ქართლის ცხოვრება", მისი დასაწყისი ნაწილი (განსაკუთრებით, ფარნავაზიდან ვახტანგ გორგასლამდე). ამ ტექსტების ხსენებული კუთხით შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ისინი ტერიტორიული იდენტობის სრულიად სხვადასხვა ასპექტებს ეხებიან. თუ "წმ. ნინოს ცხოვრება" საკრალურ-რელიგიური ადგილების მონიშვნის კულტურულ პროცესს ასახავს, "ქართლის ცხოვრება" ძირითადად პოლიტიკური სივრცისა და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრების მონიშვნით არის დაკავებული.

"ქართლის ცხოვრება", როგორც ოფიციალური ისტორიოგრაფია, დაკავებულია ტერიტორიის პოლიტიკური ასპექტით, ხოლო "წმ. ნინოს ცხოვრება" – რელიგიურ-რიტუალურით; ამასთანავე, პოლიტიკურ სივრცესთან და ტერიტორიულ იდენტობასთან მიმართებით "ქართლის ცხოვრება" გახაზავს განგრძობადობას, უცვლელობას და სტაბილურობას, ხოლო საკრალურ-რელიგიურ ტოპოსთან მიმართებით – "წმ. ნინოს ცხოვრება" სი-

ლესა და ცვლილებაზე ამახვილებს ყურადღებას. პირველი
რიენტირებულია წარსულზე, მეორეს ეს-ქატოლოგიური ელფე-
ı გადაჰკრავს.

ცხადია, თითოეულ ჟანრს თავისი თემატური და იდეოლო-
ური ჩარჩო აქვს და ამ ჩარჩოს ფარგლებში ავლენს და ასა-
ვს მიმდინარე კულტურულ თუ მენტალურ პროცესებს.

კოლექტიური კულტურული და ტერიტორიული იდენტობანი
ქართლის ცხოვრებაში" (მირიანიდან ვახტანგ გორგასლამდე)

ტერიტორიული იდენტობის კვლევის დროს, ბუნებრივია,
ეოგრაფიულ და ისტორიულ თხზულებებს ძალზე დიდი მნიშვ-
ნობა ენიჭება. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავაცნო-
ოროთ, თუ რას ემყარება გეოგრაფიულ აღწერილობათა ლო-
ა როგორც გეოგრაფიული ისე ისტორიული შინაარსის ტექ-
ებში. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, საისტორიო
ხულება – "მატიანე"– უნდა შედგებოდეს ოთხი ნაწილისა-
: ადგილის აღწერის ანუ გეოგრაფიისაგან, ნათესავთმეტყვე-
ბის ანუ გენეალოგიისაგან, წლისმრიცხველების ანუ ქრონო-
ფიისაგან და მოქმედების აღწერის ანუ ამისაგან, რასაც ლა-
ურ მწერლობაში უწოდებდნენ *res gestae*: არამედ ესე მატია-
განყოფების ოთხწილად: ადგილის აღწერად, ნათესავთმეტყ-
ებად, წლისმრიცხველობად და მოქმედების აღწერად... ჩუენ
თველთა მატიანე შემოიჰყრობს სამსა მას წილსა მატიანისა-
არამედ წლისმრიცხველობასა ნათესავთმეტყველებასა მცი-
ı, ხოლო მოქმედების აღწერასა განავრცელებს..." [ჯაუხჩი-
ლი 1973: 4]

მაშასადამე, ვახუშტი ბატონიშვილი შენიშნავს, რომ "ქართ-
ı ცხოვრება" "ადგილის აღწერას" საერთოდ არ შეიცავს,
ესავთმეტყველებასა და წლისმრიცხველებას კი მცირედ.
ოლაც, მისი თხზულება "აღწერა სამეფოსა საქართველოსა"
ართლის ცხოვრების" ამ ხარვეზთა შევსებას ისახავს მიზნად.
ეშტი ბატონიშვილი თავის საისტორიო თხზულებას სწორედ
ელი გეოგრაფიული გამოკვლევით იწყებს და ამით ის ის-
ოიული მეცნიერების დარგის დასავლური ტრადიციების გამ-
ელებლად გვევლინება. მაგრამ რამდენად სამართლიანია
ეშტი, როცა ის ლაპარაკობს გეოგრაფიული ცოდნის (*ადგო*
აღწერის) არარსებობაზე "ქართლის ცხოვრების" მატიანე-
ხვენ ვიცით, რომ თავად ვახუშტის აღწერილობა ქართლის
ფოს შესახებ სწორედ იმ გეოპოლიტიკურ ცოდნას ეფუძნე-
რომელიც "ქართლის ცხოვრებაშია" მოცემული. ამ კითხვა-
ასუხის გასაცემად ჯერ გავიხსენოთ, თუ როგორი იყო შუა

საუკუნეების ავტორთა (მემატიანეთა თუ ისტორიკოსთა) დამო-
კიდებულება სივრცისა და ტერიტორიის აღწერის მიმართ.

როგორც შუა საუკუნეების დასავლური ისტორიოგრაფიის
მკვლევარი ბერნარ გენე წერს, შუა საუკუნეების ისტორიკო-
სებს ჰქონდათ სივრცის შეგრძნება და მისი შესწავლის მიმართ
ინტერესი. ამ მხრივ ისინი ანტიკური ისტორიოგრაფიის ტრადი-
ციებს ეფუძნებოდნენ. ლათინური რიტორიკის კანონები პირდა-
პირ თუ ირიბად მკვიდრდებოდნენ შუა საუკუნეების დასავლეთ-
ში. ლათინური რიტორიკა კი ავტორებს ურჩევდა, რომ თავი არ
აერიდებინათ სივრცის აღწერის შემცველი გადახვევებისაგან,
რადგან ასეთი აღწერები მკითხველსა და მსმენელს ანიჭებდნენ
სიამოვნებას და ამასთანავე მისთვის სარგებლობა მოჰქონდათ.
რადგან, როგორც ამბობდა ციცერონი "მოვლენათა ბუნება მოი-
თხიეს დროის თანმიმდევრობასა და ადგილის აღწერას" [გენე
2002:194]. ანტიკური რიტორიკის კანონების მიხედვით, გეოგრა-
ფიული აღწერილობა უნდა ყოფილიყო შემდგარი ქვეყნის აღწე-
რისაგან, იმ ადამიანების აღწერისაგან, რომლებიც ამ ქვეყანაში
ცხოვრობდნენ და ბოლოს მისთვის დამახასიათებელი განსაკუ-
თრებული მოვლენებისაგან (*mirabilia*). ახ. წ. პირველ საუკუნეში
პლინიუს უფროსმა თავის ისტორიაში გადმოსცა სამყაროს აღ-
წერილობა. III საუკუნეში სოლინუსმა *ღირსსახსოვარ მოვლენა-
თა კრებულში* აღწერა ქვეყნები, ადამიანები და ცხოველები და
განსაკუთრებით საოცრებებზე გაამახვილა ყურადღება. V საუ-
კუნეში ოროზიუსი ვვაძლევს სამყაროს მხარეებისა და აქ მოსა-
ხლე ხალხების გრძელ სიას. ხოლო VII საუკუნეში ისიდორე
სევილიელი მოკლედ ადამებდა მის წინამორბედთა გამოცდილე-
ბას [გენე 2002:196].

ანტიკური, განსაკუთრებით ლათინურენოვანი, ისტორიო-
გრაფიული ტრადიციის მიხედვით ისტორიული თხზულება იმ
ქვეყნის გეოგრაფიული აღწერილობით უნდა დაწყებულიყო,
რომლის ისტორიასაც მოგვითხრობდა ავტორი. მაგალითად, იუ-
ლიუს კეისარი თავის ისტორიული თხზულების "ომი გალე-
თან" დასაწყის'ში დეტალურად აღწერდა გალიის ქვეყანას. ასე-
ვე იქცეოდა სალუსტიუსი თავის "იუგურტინულ ომებში", როცა
აფრიკის მიწის ეს-ეზურ აღწერას ეკავდიდა. ბერნარ გენე
ხაზს უსვამს, რომ შუა საუკუნეების ავტორები არა მხოლოდ
მისდევდნენ ამ ტრადიციას, არამედ ხშირად თავიანთი ისტორი-
ული თხზულებების შესაველებში უშუალოდ სარგებლობდნენ
ანტიკურ ავტორთა აღწერილობებით. ასე მაგალითად, ანგლე-
ბის ისტორიის ავტორი – ბედა (VIII ს.) აღწერდა ბრიტანეთს
და ამ დროს სარგებლობდა პლინიუსის, ოროზიუსისა და სო-

ლინუსის თხზულებებით. გვიანანტიკურ ხანაში შექმნილი თხზულება "ალექსანდრიანი" ერთ-ერთი იმ ნაწარმოებთაგანი იყო, რომლებიც კვებავდნენ შუა საუკუნეების ავტორთა და მკითხველთა გეოგრაფიული ცოდნისა და შემეცნების წყურვილს. ბერნარ გენე ასე აღაშენებს შუა საუკუნეების ავტორთა გეოგრაფიული ინტერესებისა და ანტიკური ტრადიციის ურთიერთმიმართების საკითხს დასავლურ კულტურაში: „ეს მეტ-ნაკლებად უწესეულო მოთხრობები, მეტ-ნაკლებად ზუსტი აღწერილობანი, მეტ-ნაკლებად მშრალი ჩამონათვალები, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ფართო მოწონებით სარგებლობდნენ და, როცა ისტორიკოსს უნდოდა მიეთხრო ქვეყნებისა და ხალხების შესახებ, ის პირდაპირ თუ ირიბად დახმარებისათვის ამ ავტორთა შონათხრობს მიმართავდა" [გენე 2002: 196].

ჰეროდოტედან მოყოლებული, ბერძენი და რომაელი ავტორები ლაპარაკობდნენ მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსის შესახებ. ეხებოდნენ მათ წარმომავლობას, ენას, ღმერთებს, წმინდა ადგილებს, დღესასწაულებს, რიტუალებს, ცხოვრების წესს. ეს ცოდნა ჯერ არ იყო გამიჯნული ერთმანეთისაგან როგორც ცალკეული დარგები: გეოგრაფია, ისტორია და თუნდაც ეთნოგრაფია. ანტიკური ხანის ბერძნული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია მისი აღწერითობა და ინტერესი უცხო ქვეყნების მიმართ. როგორც ჰერბერტ ბატერფილდი ამბობს, ისტორიისადმი ინტერესი საბერძნეთის იონიურ ნაწილში წარმოიშვა და ის დიდწილად აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობით იყო ნაკარნახები [ბატერფილდი 1981:118-137].

გეოგრაფია ანტიკურ კულტურაში იყო ქვეყნების მთავარი მახასიათებლების აღწერა. ამავე დროს, ითვლებოდა, რომ ამ აღწერილობის საფუძველზე უნდა შესაძლებელი ყოფილიყო რუკის შედგენა. რუკის შედგენაზე აქცენტის გაკეთება კარნახობდა გეოგრაფოსებს აღწერის კონკრეტულ მეთოდოლოგიას. მაგალითად, ნებისმიერი გეოგრაფიული აღწერის (თუნდაც სტრაბონის "გეოგრაფია") შესავალი სანაპირო ზოლის აღწერით უნდა დაწყებულიყო. ეს რუკის შედგენის პრინციპი, რეი ლორენსის აზრით, "არის იმპერიული პროექტის ნაწილი". ეს ის აუცილებელი ცოდნაა, რომელიც იმპერიის მართვას ესაჭიროება. "ბერძნები და რომაელები ტერიტორიასა და ეთნოსს შორის მჭიდრო კავშირს ხედავდნენ, განაგრძობს ლორენსი, და ქვეყნის აღწერა მათთვის ამ ორივე კომპონენტის თანაბარუფლებიან შესწავლას და გადმოცემას გულისხმობდა" [ლორენსი 2001:97].

ამ ტიპის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერის კარგ მაგალითად გამოდგება ქართველი მკითხველისათვის კარგად ცნობილი, ახ.წ. II ს-ის ავტორის ფლავიუს არიანეს "მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო", სადაც შავი ზღვის სანაპიროების აღწერასთან ერთად საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე მოსახლე არა ერთი ტომის არსებობაა დადასტურებული. არიანე წერს: "შემდეგი ტომები გავიარეთ: ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი, როგორც ქსენოფონტიც ამბობს არიან კოლხები, და ტომს, რომელიც უგულადესია და ტრაპეზუნტელთა მოსისხლე მტერია, ქსენოფონტი დრილებს უწოდებს. მე კი ვფიქრობ, რომ ისინი სანები არიან... ამათ გვერდით არიან მაკრონები და ჰენიოხები, მათი მეფე ანქიალეა. მაკრონების და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან. ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან. ლაზების მეფე მალასაა, რომელსაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. ლაზების მეზობლები აფსილები არიან, მათმა მეფემ იულიანემ მეფობა შენი მამისაგან მიიღო. აფსილების მეზობლები აბასკები არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. აბასკთა მეზობლები სანიგები არიან, მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი. სანიგთა მეფემ სპადაგამ შენგან მიიღო ტახტი" [კეჭაღმაძე 1961:42-43].

ფლავიუს არიანე აქ ანტიკური ისტორიოგრაფიისა და გეოგრაფიული აღწერის ტრადიციას აგრძელებს. ნაშანდობლიეა, რომ ამ ერთი მოგზაურობის შედეგად, არიანემ ბევრად მეტი ინფორმაცია გადმოგვცა დასავლეთ საქართველოს იმდროინდელ ეთნიკურ სურათზე, ვიდრე "ქართლის ცხოვრების" წერის მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციამ. როგორ ავხსნათ ეს გარემოება? "ქართლის ცხოვრების" მემატიანეთ სათანადო ინფორმაცია აკლდათ, თუ სხვა რაიმე მიზეზი არსებობდა საამისოდ?

ამგვარად, ჩვენი მიზანია გავერკვეთ, თუ როგორია სიერცისა და ტერიტორიის აღწერის ლოგიკა "ქართლის ცხოვრებაში" და რამდენად ასახა ამ თხზულებამ შუა საუკუნეების ქართველთა ტერიტორიული თუ სხვა იდენტობანი. როგორ აღწერს და ასახავს "ქართლის ცხოვრება" ეთნოსს და მის ტერიტორიას. რა კავშირს ხედავს ის ტერიტორიასა და ეთნოსს შორის? აღწერს თუ არა ის "სხვის" ტერიტორიას და რამდენად აღწერს – "თავისას"? არის თუ არა მისთვის ტერიტორიის საზღვრები საკრალური, სტაბილური, ბუნებრივი თუ საზღვრები მისთვის განუსაზღვრელია და ცვალებადი? რა ემოციურ და ეკზისტენციალურ ცნებებში აღწერს ის ქვეყნის ტერიტორიის ნაწილზე პოლიტიკური კონტროლის დაკარგვას ან საზღვრების კონფიგურ-

რაციის ცვლილებას? არის თუ არა ყველანაირი ტერიტორია მისთვის ერთნაირად ძვირფასი და საინტერესო თუ სახელმწიფო ტერიტორიის შიგნით რაიმე სახის დიფერენციაციას აქვს ადგილი? ერთი სიტყვით, ჩვენი ამჟამინდელი ამოცანაა გავარკვიოთ, თუ როგორია "ქართლის ცხოვრებაში" ქართლის სამეფოს ტერიტორიის გამოსახვის პრინციპი? როგორია სახელმწიფოებრივი ტერიტორიული მოდელი "ქართლის ცხოვრებაში" ან, რაც იგივეა, როგორია სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოდელი ქართლის სამეფოს ოფიციალური – მმართველი წრეების თვალით?

ცალსახად უნდა ითქვას, როცა "ქართლის ცხოვრებას" ვიხილავთ, ძალზე ძნელია სივრცისა და ტერიტორიის მიმართ რაიმე იმის მსგავსი მიდგომა დავადასტუროთ, როგორსაც ანტიკურ მწერლობაში ან თუნდაც მასზე დაფუძნებულ შუა საუკუნეების საისტორიო ტრადიციაში ვხედავთ. უცხო ქვეყნებისადმი ინტერესი, აღწერითობა, რომელიც ტერიტორიის გარდა ეთნოსებსა და მათ თავისებურებებზე ლაპარაკობს – ყოველივე ეს სრულიად უცხოა ქართული საისტორიო ტრადიციისათვის. რა ინტერესები ამოძრავებდათ იმ ადამიანებს, ვინც "ქართლის ცხოვრებას" ქმნიდნენ? ერთი შეხედვითაც ნათელი ხდება, რომ აქ იდეოლოგიური მიდგომა არის წამყვანი. ავტორის/ავტორთა მიზანი არ არის მრავალფეროვნების აღწერა და წერილობით დაფიქსირება. მათ პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული ერთეული და მისი მთლიანობა უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ვიდრე ეთნო-კულტურული ან ლინგვისტური სიჭრელე მის შიგნით.

"ქართლის ცხოვრება" ეთნიკურ თუ ტომობრივ სიჭრელეს ამა თუ იმ ტერიტორიაზე არ ახსენებს. მისთვის ეთნოსი და ტერიტორია იგივეობრივია. სადაც არის "ქართლი" (სამეფო), იქ არიან *ქართველნი, ყოველნი ქართველნი, მკვიდრნი ქართლისანი* [ყაუხჩიშვილი 1955:20-35]. "ფარნავაზის ცხოვრების" ავტორისათვის საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ მოცემულ ტერიტორიაზე არის ერთიანი შეფობა. შეფე არის სახელმწიფოებრივი წესრიგის (ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა), რელიგიური და თეთ ენობრივი ერთობის წყაროც. "ფარნავაზის ცხოვრებაში" ქვეყნის საერისთავოებად დაყოფა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ პრინციპს ეფუძნება და შემატიანე არსად აღნიშნავს, თუ რა და რა ტომები ცხოვრობენ ამ ტერიტორიაზე. ეთნოსში რელიგიური და ლინგვისტური ელემენტის არსებობაც კი "ფარნავაზის ცხოვრებაში" წარმოდგენილია როგორც სახელმწიფო ინსტიტუცია. აქ საგანგებოდ აღნიშნულია, რომ სამეფო კულტი ფარნავაზ მეფის დაფუძნებულია: "და ამანვე ფარნავაზ შექმნა

კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა" [ყაუხჩიშვილი 1955:25]. მეფეს მიეწერება სახელმწიფო ენის შემოღებაც: "ამან ფარნავაზ განავრცო ენა ქართული და არდარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული" [ყაუხჩიშვილი 1955: 26]. სიტყვა "განავრცო" გულისხმობს ერთი ენის გავრცელებას მოცემული ტერიტორიის ფარგლებში. მაშასადამე, აქ ბუნებრივად კი არ არის გავრცელებული ეს ენა და მასთან ერთად მწიგნობრობა (დამწერლობა), არამედ ფარნავაზმა "განავრცო" ისინი. ამიტომ ხსენებულ პასაჟში სახელმწიფო ენა და კულტურული ერთობა იგულისხმება და არა ეთნიკური. სრული ეთნიკურ-ტომობრივი ერთგვაროვნება არც ივარაუდება სახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზე, მაგრამ "ქართლის ცხოვრება" არ ისახავს მიზნად ასახოს ტომობრივი, ეთნიკური, ლინგვისტური სიჭრელე. ეს ამოცანა არ არის მისი ვანრით განსაზღვრული. სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მატარებელი ოხზულების შინაგანი ლოგიკა მას არ ავალებს ქვეყნის შინაგანი მრავალფეროვნების ასახვას. აქ აღსახვა მხოლოდ ის, რაც სახელმწიფოებრივ დონეზეა ინსტიტუციონალიზებული.

განსხვავებს, სიჭრელის, მრავალფეროვნების ხარჯზე სახელმწიფოს ჰომოგენურობის, ერთიანობის, და თანაზომიერი, რაციონალური დაყოფის (ადმინისტრაციული და არა ტომობრივ-ეთნიკური) მომხრეა სწორედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოზიცია და არა "იმპერიული პროექტი". ახე მაგალითად, რომის იმპერატორის ავგუსტუსის ადმინისტრაციული სისტემა იტალიის რეგიონში და არა იმპერიის მასშტაბით, არ იყო აგებული გეოგრაფიული ლოგიკით. რეგიონების შოწყობა დამყარებული იყო მათი რომთან მიმართების პრინციპზე. თერთმეტი რეგიონი დანომრილი იყო, მათი რიცხვითი მნიშვნელობები იზრდებოდა რომიდან სამხრეთის მიმართულებით, შემდეგ ცენტრალური და ჩრდილოეთის რეგიონებისკენ [ლორენსი 2001: 97].

მაშასადამე, ხატომო სახელის მაგიერად, პროვინციას ნომერი უწერდა, ხოლო რუკის შედგენის პრინციპს პროვინციის ცენტრთან (რომთან) მიმართება ცვლის. ავგუსტუსის ადმინისტრაციული დაყოფის სისტემა სახელმწიფო იდეოლოგიის ნაწილი იყო, მაგრამ როგორც დავინახეთ, ამ იდეოლოგიას ისტორიული და გეოგრაფიული ჟანრის განვითარებაზე გავლენა არ მოუხდენია.

"ქართლის ცხოვრებაში" იმის მსგავსი სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიური პოზიცია იკვეთება, როგორც იმპერატორ ავგუს-

ტუსის მიერ განხორციელებულ ადმინისტრაციულ სისტემაში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ "ქართლის ცხოვრება" სწორედ სამეფო სახლის პატრონაჟით შექმნილი ოფიციალური ისტორიოგრაფიაა, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც ფლავიუს არიანე სხვადასხვა ტომთა სამოსახლო სივრცეს განარჩევდა, "ქართლის ცხოვრების" ავტორი მხოლოდ ეგრისის საერისთავოს ხედავს და შესაბამისად მის ეპონიმად ეგროსს მიიჩნევს: "ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღვის ყურისა, და უწინა საზღვარი: **აღმოსავლით** მთა მცირე, **რომელსა აწ ჰქვიან ლიხი; დასავლით** – ზღუა; [ჩრდილოთ] მდინარე მცირისა **ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა. ხოლო ამან** ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი" **[ყაუხჩიშვილი 1955:5].**

"ფარნავაზის ცხოვრების" მიხედვით კი დასავლეთ საქართველოში გამოყოფილია ორი საერისთავო; ერთი არგვეთის ("მარგვის") და მეორე ქუჯის სამფლობელო – ეგრისი: "ეგრისწყალსა და რიონს შუა ზღვითგან მთამდე" [ყაუხჩიშვილი 1955: 24]. **ასეთ დაყოფასაც, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული გამოკვლევები** ცხადყოფენ, უფრო პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა, ვიდრე ეთნიკურ-ტომობრივი. როგორც ცნობილია, არგვეთის ტერიტორიის უკიდურეს დასავლეთ საზღვარს ჯერ კიდევ ფარნავაზის დროს აგებული ციხეები შორაპანი და დიმნა იცავდნენ. **ამ ციხეებს ქართლისა და ეგრისის სამეფოთა დაპირისპირების** დროს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამხედრო ფორპოსტის **როლი ენიჭებოდათ როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის** [მუსხელიშვილი 1977: 105-106]. ამგვარად, არგვეთის საერისთავოს ცალკე წარმოდგენა "ფარნავაზის ცხოვრებაში" **პოლიტიკურ-ადმინისტრაციული** საზღვრის მონიშვნის მაგალითია და არა ეთნიკურ-ტომობრივის.

"ფარნავაზის ცხოვრებაში" ერისთავთა სახელწოდება ძირითადად მათი პროვინციის სატახტო ქალაქის სახელწოდებიდან **არის ნაწარმოები ასეთებია:** ხუნანის ერისთავი, **სამშვილდის ერისთავი, წუნდის ერისთავი, ოძრხის ერისთავი.** შესაძლოა ერისთავის ან საერისთავოს სახელწოდება პროვინციის სახელიდანაც იყოს ნაწარმოები, როგორც მაგალითად ერისთავი კახეთისა ან კლარჯეთისა. მაგრამ ჩანს, რომ საერისთავო პროვინციის ეთნოგრაფიულ საზღვრებს მთლიანად არ ემთხვევა. **"ფარნავაზის ცხოვრების"** ერისთავთა ნუსხაში იქვე მოცემულია განმარტება, თუ რომელ პროვინციას მოიცავს ესა თუ ის საერისთავო. მაგ. კახეთის ერისთავის დასახელებისა და საერისთაოს ფარგლების მითითების შემდეგ მემატიანე /რედაქტორი

აღნიშნავს: "რომელ არს კახეთი და კუხეთი". ასევე განმარტავს რედაქტორი სხვა საერისთავოებს და მათ **პროვინციის** სახელწოდებით მოიხსენიებს მაგალითად, ხუნანის საერისთაოს შემთხვევაში ნათქვამია "რომელ არს გარდაბანი". ეს განმარტებები, ეფიქრობ, უფრო გვიანდელი რედაქტირების **შედეგად** განვდა ტექსტში; ხოლო მთავარი ტერიტორიული მსაზღვრელი ამ საერისთავოებისა არის აქვე მითითებული გეოგრაფიული საზღვრები: მდინარეების, მთების, ზღვის თუ მომიჯნავე პოლიტიკური ერთეულის სახელწოდება. მაგალითად, "ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე და განიანთამდის, ანდა ფანავარითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა" და სხვა.

სხვა ქართული წყაროებიდან ჩანს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გარდა საერისთავოთა ფარგლებში დასახელებული ტოპონიმებისა თუ ეთნონიმებისა, სხვა ეთნო-ტერიტორიული ერთეულებიც იყო. მაგალითად, წმინდა ნინოს სამისიონერო საქმიანობის კონტექსტში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში რამოდენიმე სხვადასხვა ტოპონიმსა თუ ეთნონიმს ეხვდებით:

> „წარვიდა (წმ. ნინო) და დადგა წობენს. და მოუწოდა **მთელთა, ჭართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა**... და გარდაეიდა ერწუდ და დადგა ჯალეთს, დაბასა ეფემს, და ნათელ სცა ერწუთიანელთა. და **ეუარელთა** ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა ... და ნინო შთავიდა ცხოეთა და დადგა კაწარეთს და მონათლნა ცხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით" [ბულაძე 1964:88-89].

ცხადია, წმინდანის სამისიონერო მოღვაწეობის აღწერისას მემატიანის პოზიცია სრულიად განსხვავებულია. მას წმინდანი მის ცოცხალ პიროვნულ თუ ეთნიკურ გარემოში აინტერესებს. მისთვის მთავარია აჩვენოს, როგორ მიიღო ეს მხარე ამა თუ იმ ტომმა, ქალაქის, დაბისა თუ სოფლის მოსახლეობამ. **სახელმწიფო**, თავის **პოლიტიკური** თუ **ადმინისტრაციული** საზღვრებით **მისთვის მეორეხარისხოვანია.**

ასევ თუ ისე, საერისთავოთა საზღვრები ზოგი შესაძლოა მთლიანად და ზოგიც ნაწილობრივ ქვეყნის მხარეთა და აქ განსახლებულ ტომთა და ისტორიულად ჩამოყალიბებულ პროვინციათა საზღვრებს ითვალისწინებდა და ეფუძნებოდა. მაგრამ "ქართლის ცხოვრების", როგორც სახელმწიფო იდეოლოგიის გამომხატველი ძეგლის, პოზიცია იმგვარია, რომ ის არ ცდილობს ნაულრმავდეს დეტალებს და ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერილობით გაამდიდროს თავისი თხზულება. მართალია,

საერისთავოებს თავიანთი სახელები აქვთ, "ქართლის ცხოვრებაში", და ისინი არ არიან ოდენ დანომრილნი როგორც ავგუსტუსის ადმინისტრაციულ სისტემაში, მაგრამ აქ არ გამოიკვეთება და არ კონკრეტდება, თუ რომელი ტომის სახელია და რა სპეციფიური ნიშნები – გარეგნული სახე, ყოფითი თუ წეს-ჩვეულებითი ან სხვა კულტურული თავისებურებები აქვთ მის მცხოვრებლებს.

ვახუშტი ბატონიშვილი უბრუნდება გეოგრაფიული აღწერილობის კლასიკურ პრინციპებს, მას თავის "აღწერაში" შემოაქვს ბუნების – რელიეფის, მდინარეების, ფლორისა თუ ფაუნის გავრცელების დეტალები, აღწერს საქართველოში მცხოვრებ ქართველურ და არაქართველურ ტომებს მათ ანთროპოლოგიურ ნიშნებს, ტემპერამენტს, წეს-ჩვეულებებსა თუ ხასიათობრივ თავისებურებებს. ნიშანდობლივია, რომ ვახუშტი თვისობრივად ახალ ისტორიას ქმნიდა, და ქმნიდა მაშინ, როცა ფაქტობრივად "ქართლის ცხოვრების" წერის ტრადიცია თავად შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს ტრადიციასთან ერთად აღსასრულს უახლოვდებოდა.

საერთოდ "ქართლის ცხოვრების" დასაწყისი ნაწილი ქართლოსიდან არჩილის ჩათვლით სრულიადაც არ არის ღარიბი ტერიტორიულ-გეოგრაფიული ინფორმაციით. მაგრამ ეს არ არის "ადგილის აღწერა" ანტიკური გაგებით (ქვეყნები, ხალხები და საოცრებები). ეს არის საკუთარი ტერიტორიის მოხაზვა, იმ ტერიტორიისა, რომელსაც აღწერა არ ეხაჭიროება, რადგან ივარაუდება, რომ მკითხველი მას ისედაც კარგად იცნობს. თუ "ქართლის ცხოვრება" იდეოლოგიური ძეგლია და ამის ჩვენება მგონი წინა თაეებში შევძელი, მაშინ მისი წარმოსახვითი მკითხველი არის სწორედ ამ იდეოლოგიის სამიზნე. იდეოლოგია კი თავისუფალთა ფენას, უმთავრესად არისტოკრატიას მიემართება. სწორედ ის არის კულტურის მატარებელიც, შუა საუკუნეების მკითხველისათვის აუცილებელი სახსრების მქონეც (ხელნაწერი რომ საკმაოდ ძვირი სიამოვნება იყო შუა საუკუნეებში), და საკმაო სამხედრო ძალისა და გავლენის პატრონიც იმისათვის, რომ სამეფო სახლმა მის ცნობიერებაზე ზემოქმედება აუცილებელ და მნიშვნელოვან ამოცანად ცნოს.

ქართული არისტოკრატია, საფიქრებელია, რომ ყოველგვარი წერილობითი აღწერილობების გარეშე იღებდა თავისი ქვეყნის გეოგრაფიული და პოლიტიკური სურათის დეტალურ ცოდნას, რომელიც არისტოკრატული აღზრდა-განათლების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იქნებოდა. სხვაგვარად სამხედრო არისტოკრატია ვერ იარსებებდა. თავისი ქვეყანა თუ საერისთა-

ვო, ქალაქი თუ დაბა-სოფელი მან იცოდა ისე, როგორც დღეს ვიცით საკუთარი ბინის კონფიგურაცია, ვიცით ჩვენი ქუჩა თუ ქალაქი. ქვეყანა თავისი რელიეფით, თავისი სავარგულებით, ტყეებით, მდინარეებით აქტუალურად შემოდიოდა არისტოკრატის ცხოვრებაში, რადგან ეს იყო მისი ძალაუფლების სიმბოლოც, საარსებო სახსარიც, სატრანსპორტო ქსელიც, თავდაცვის სისტემაც, შემოსავლის წყაროც და გართობის საშუალებაც. ამიტომ "ქართლის ცხოვრების" ისტორიოგრაფიულ ტრადიციაში არ არის სივრცის აღწერა ამ აზრის ანტიკური რიტორიკის გაგებით. აღწერის გზით ხდება "უცხოს" შემოყვანა ნაცნობ სივრცეში, რაც ოიკუმენის ფართო იდენტობის შექმნას უწყობს ხელს. "ქართლის ცხოვრება" კი ეხება და ოპერირებს იმ სივრცეული და ტერიტორიული ნომენკლატურით, რომელიც უკვე "მისია", რომელიც კარგად ნაცნობია და ამიტომ მას აღწერა არ ესაჭიროება, ეს უკვე არის "ჩვენი" ტერიტორია; აქ არ შეიძლება იყოს რაიმე მსგავსი იმისა, რასაც ანტიკურ თუ შუა საუკუნეების სამყაროში *mirabilia* (საოცრება, უცხო რამ) ეწოდებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, "ქართლის ცხოვრებაში" წამყვანია მეფობის იდეა. მეფე და განსაკუთრებით პირველი მეფე – მეფე-არქეტიპი ფარნავაზი გვეკლინება ყველა სახელმწიფოებრივი და კულტურული ინსტიტუციის დამფუძნებლად ქართლის სამეფოში. მსგავსი ტრადიცია დასტურდება სასანურ ირანში [რაჰი 1997]. თვით სახელმწიფო ტერიტორია, მისი საზღვრები და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სისტემა მეფის მიერ არის ფორმირებული და, ამდენად, მისივე საკრალური ფიგურა ანიჭებს ამ საზღვრებს ლეგიტიმაციას. როგორც ვთქვი, "ქართლის ცხოვრებაში" ტერიტორიის ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტი არის საგამგეო და სამფლობელო. მაგრამ აქაც ერთგვარი დიფერენციაცია არსებობს. ერთი მხრივ, არის საკუთრივ სახელმწიფო საზღვარი, რომელიც ერისთავთა ნუსხით არის მონიშნული და, მეორეს მხრივ, არის მეფის საგამგეო ტერიტორია. თუ პირველი საზღვრის შეცვლა ტერიტორიის დაკარგვის აზრით ტრაგიკულ ნოტებს აღძრავს მატიანეში, მეორის ცვლილება გაცილებით უფრო მშვიდ ვითარებაში ხორციელდება. ამიტომ საკუთრივ "ქართლის საზღვარი" არის ის ტერიტორია, რომლის მიმართ მოცემულ ერთობას აქვს იდენტობის განცდა, ხოლო მეორე შემთხვევაში ასეთი რამ არ დასტურდება.

"მირიანის ცხოვრების" დასაწყისში ნათქვამია, რომ როდესაც სპარსთა მეფემ არდაშირმა შეისმინა ქართველთა ვედრება მისცა მათ თავისი ძე მეფედ და "დასუა მცხეთას". სპარსეთის

შაჰან შაჰმა თავის ძეს "მისცა ქართლი, სომხითი, რანი, მოვაკანი და პერეთი", გამოდის, რომ მირიანი მთელი სამხრეთ კავკასიის (ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის) მმართველად დაუნიშნავთ. **შაჰმა დაუტოვა მირიანს, თავის ძეს ორმოცი ათასი** მხედარი – "სპარსნი", მაგრამ აქვე მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სპარსეთის მეფემ "არა დასხნა ქართლისა საზღვართა სპარსნი იგი" [ყაუხჩიშვილი 1955:64-65]. აშკარაა, მემატიანე განარჩევს ქართლის საზღვარს და მეფის სხვა სამფლობელოს. თუ სხვა სამფლობელოში სპარსეთის ჯარი დგას და, ამდენად, სპარსეთის იმპერიის სუვერენული უფლებები ერცელდება "ქართლის საზღვრებში" სპარსეთის ჯარი არ დგას. სპარსთა მეფის **ეს გადაწყვეტილება წარმოდგენილია, როგორც მის მიერ ქართველთათვის თავდაპირველად მიცემული ფიცის შესრულება.** ფიცის პირობა **კი შემდეგი იყო:** "არა აღრეკა სპარსთა და წარჩინებულად პყრობა ჩვენი" ("ჩვენში" იგულისხმებიან ქართლის წარჩინებულები – "ერისთავნი ქართლისანი") [ყაუხჩიშვილი 1955:63]. ამდენად მემატიანე ხაზს უსვამს, რომ საკუთრივ ქართლის **ტერიტორია** ანუ "საზღვარი" დაპყრობილი სპარსთაგან არ არის, **რადგან** ადგილობრივ **არისტოკრატიას თავისი წარჩინებული სტატუსი** უპყრია, რაც მას საკუთარი **კულტურული** იდენტობის ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევს. "ერისთავნი ქარ**თლისანი" ამბობენ, რომ თუ მათი ეს მოთხოვნა** არ იქნება დაკმაყოფილებული "და უკეთუ სჯულსა მამათა ჩუენთასა მოგვიღებდეს (ე.ი. წაგვართმევდეს), და ნუენ ზედა სპარსთა წარჩინებულ პყოფდეს, და ნათესავსა მეფეთა ჩუენთასა მოსწყუედდეს, მაშინ სიკუდილი უმჯობეს არს თავთა ჩუენთათვის ვიდრე მოსახვასა ესვეთოარისასა" [ყაუხჩიშვილი 1955: 63]. ამ პასაჟში აშკარად იკვეთება არა მხოლოდ **კულტურული**, არამედ **ტერიტორიული იდენტობის** ხაზვრებიც. **საკუთრივ ქართლის სამეფოს** ხაზვრებში **მყოფი** არისტოკრატია **მოითხოვს** თავისი **კულტურულ** ისტორიული ღირებულებების, სოციალური სტატუსის და ტერიტორიული სუვერენიტეტის შენარჩუნებას. საკუთრივ ქართლის სამეფოს ხაზვრები კი, ჯერ კიდევ "ფარნავაზის ცხოვრების" ერისთავთა სიით არის მონიშნული. "მირიანის ცხოვრების" მიხედვით რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება ამ ტერიტორიულ ხაზვრებში არ იყარაუდება. აი, ეს სიიც:

„მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თჳისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი, განაწესა ერისთავნი რვანი და სპასპეტი.
ერთი გაგზავნა მარგვის ერისთავად, და მისცა მცი-

რით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუ(რ)ამდე [ეგრისისა], როინს ზემოთ, და ამანვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა.
და გაგზავნა მეორე კახეთისა ერისთავად, და მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, **რომელ არს** კახეთი **და** კუხეთი.
მესამე გაგზავნა ხუნანისა ერისთავად, და მისცა ბერღუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე **და** გაჩიანთამდის, **რომელ არს** გარდაბანი.
მეოთხე გაგზავნა სამშვილდის ერისთავად, **და** მისცა სკვირეთისა მდინარითგან ვიდრე **მთამდე, რომელ არს** ტაშირი **და** აბოცი.
მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად, და მისცა **ფან**ვარითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, **რომელ** არს ჯავახეთი **და** კოლა **და** არტანი.
მეექუსე გაგზავნა **ოძრხის ერისთავად, და** მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანისამდის, ნოსტანისთავითგან ზღუამდის, **რომელ** არს **სამცხე და** აჭარა.
მეშვიდე გაგზავნა **კლარჯეთის ერისთავად, და** მისცა **არსიანითგან ზღუამდე. და** შერეკ. **ქუჯი** იყო ერისთავი **ეგრისისა.**
ხოლო ერთი დაადგინა **სპასპეტად** და მისცა თბილისითგან **და** არაგვითგან ვიდრე ტასისკარამდე **და** ფანვარადმდე, **რომელ** არს **შიდა ქართლი. და** ეხე **სპასპეტი** იყო **შემდგომადვე** წინაშე **მეფისა, მთავრობით** განაგებდის **ყოველთა** ერისთავთა **ზედა"** [ყაუხჩიშვილი 1955:24-25].

სწორედ ეს შემოფარგლული ტერიტორია, სადაც მეფე "აგზავნის" ერისთავებს არის საკუთრივ ქართლის სამეფო.[4] "მირიანის ცხოვრებიდან" კარგად ჩანს ისიც, რომ ტერიტორიული იდენტობა ისტორიულ და კულტურულ იდენტობასთან მჭიდრო კავშირში გაიაზრება. შემთხვევითი არ არის, რომ სანამ მირიანს (7 წლის სასანიან უფლისწულს) გაამეფებდნენ ქართლის სამეფოში, სპასპეტთან იკრიბებიან *ერისთავნი ქართლისანი*. ერისთავები სპასპეტის გარშემო შეხვლა სიმბოლურად, მაგ-

[4] ეგრისს აქ ეროვნულად შეალეფული ადგილი უჭირავს – ეს მიწა შემოდის ქართლში, რადგან მისი გამგებელი ქუჯი ფარნავაზის ერისთავადაა სახელდებული და სიაშიც არის შეტანილი (ერთია რეალიგან), **მაგრამ ამავე დროს მის** შესახებ არ იოქმის სიტყვა "გაგზავნა", როგორც სხვა ერისთავებზე, რაც მიანიშნებს ეგრისის საერისთავოს განსაკუთრებულ ნახევრად დამოუკიდებელ სტატუსზე.

ნამ მაინც გამოხატავენ ქვეყნის მთელ ტერიტორიას რვა საერი-
ითავოს და სასპასპეტოს, სწორედ ეს არის "საზღვარი ქართ-
ღისა". საზოგადოების ზედა ფენას, რომელიც ამ სახელმწიფო
ივრცეს აკონტროლებს იმავდროულად პრეტენზია აქვს თავი-
უფლად "ეპყრას" მამათა სჯული. "მამათა ჩვენთა სჯულში"
ეური რამ იგულისხმება: აქ ისტორიული მეხსიერების მომენ-
�იც არის, ეთნიკურ-ნათესაობითიც, რელიგიური წეს-ჩვეულები-
ი, ერთი სიტყვით ამ ერთ ფრაზაში სავსებით ტევადად და
რაორაზროვნად გადმოცემულია იმ რთული ფენომენის შინა-
რსი, რომელსაც დღეს კოლექტიურ კულტურულ იდენტობას
უწოდებთ. მირიანის გამეფების სიუჟეტიდან კარგად ჩანს, რომ
ავად მეფეც ვალდებულია დაიცვას ის კულტურული ღირებუ-
ლებები, რომლებიც "მამათაგან" გადმოეცა ადგილობრივ არის-
ოკრატიას.

მირიანი სწორედ ამ ღირებულებების დაცვის გამო არის
ეფასებული მემატიანის მიერ როგორც საუკეთესო მეფე –
უმეტეს ყოველთა მეფეთასა". გთავაზობთ მირიანის გამეფების
იუეტის დამაგვირგვინებელ პასაჟს:

> „და აღიზარდა მირიან მსახურებასა მას შინა შეიდთა
> მათ კერპთასა და ცცხლისასა. ხოლო შეიყუარნა
> ქართველნი, და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავა
> ენა ქართული. და ამტა შემკობა კერპთა და ბოძონთა,
> კეთილად იპყრნა ქურუმნი კერპთანი, და ყოველთა
> მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღსრულებდა მსახურ-
> ებასა მას კერპთასა, და შეამკო საფლავი ფარნავაზი-
> სი" [ყაუხჩიშვილი 1955:65].

ამ ციტატაში ჩამოთვლილია ფაქტობრივად ქართლის სამე-
ფოს არისტოკრატიის ეთნო-კულტურული იდენტობის საზღვრე-
ი, რომელშიც შედის მამათა რელიგია, კულტმსახურება, ენა,
დგილობრივი წარმოშობის მეფეთა ნათესაობა (ეთნიკური ას-
ექტი). ეს ყოველივე კი პოლიტიკურად გარანტირებულ სივრ-
ცეზეა პროეცირებული. აქ ტერიტორიას, არისტოკრატულ *ეთნი-*
ა და მის კულტურას შორის ტოლობის ნიშანია დასმული.
ველა ეს კატეგორია აშკარად ერთმანეთის იდენტურია. ეფიქ-
ობ, "მირიანის ცხოვრებაში" გასაოცარი სიცხადით და პირდა-
ერობით არის გაცნობიერებული ქართლის სამეფოს არისტო-
რატული *ეთნის* იდენტობის მარკერები.

ეფიქრობ, საჭიროა განმარტებისათვის მკითხველს შეეახსე-
ო, თუ რა იგულისხმება არისტოკრატული *ეთნის* ცნებაში. რო-
ორც თანამედროვე ეთნიკურ და ნაციონალურ კვლევათა დარ-

გის სპეციალისტები მიუთითებენ, ნაციებზე და ნაციონალიზმზე
ლაპარაკი მხოლოდ მოდერნული ეპოქიდან იწყება. ის ეთნო-
კულტურული გრძნობები და განწყობილებები, რომლებიც მანა-
მდე ე.ი. შუა საუკუნეებსა და ანტიკურობაში არსებობდა, შეიძ-
ლება დახასიათდეს როგორც ეთნიკური ერთობის ცნობიერება.
ეთნიკური ერთობის, ანუ როგორც ენტონი სმითი მას უწოდებს
ეთნის იდენტობაში ძალუმად არის შეჭრილი ისტორიულ- ტე-
რიტორიული, ეთნიკური, კულტურულ-რელიგიური ცნობიერება.
ამ ცნობიერების მქონე შეიძლება იყოს არა მთელი ერთობა,
როგორც ნაციის შემთხვევაში, არამედ მისი ერთი ნაწილი –
არისტოკრატია. ისეთ ეთნიკურ ერთობას, სადაც ძირითადი
კულტურულ-ისტორიული ცნობიერების და ღირებულებების მა-
ტარებელია არისტოკრატია, არისტოკრატულ *ეთნის* უწოდებენ
[სმითი 2008:64-67].

ახლა დავუბრუნდეთ ზევით დასმულ შეკითხვებს და განვა-
გრძოთ "ქართლის ცხოვრების" "დაკითხვა". ამათგან ნაწილს,
ვფიქრობ, უკვე გავეცი პასუხი. რა შეიძლება ითქვას ასეთ შე-
კითხვაზე: რა ემოციურ და ეკსისტენციალურ ცნებებში აღწერს
"ქართლის ცხოვრება" ქვეყნის ტერიტორიის ნაწილზე პოლიტი-
კური კონტროლის დაკარგვას ან საზღვრების კონფიგურაციის
ცვლილებას?

ფეროზს, "რანის ერისთავს" (კავკასიის ალბანეთის ძველი
სახელწოდება) მირიანმა უკვე როგორც სპარსეთის შაჰის მოხე-
ლემ კავკასიაში მისცა ქვეყანა "ხუნანითგან ბარდავამდე მტკვრი-
სა ორივე კერძი" [ყაუხჩიშვილი 1955:68-69]. ამავე ფეროზს მირი-
ანმა მისცა "ასული თუსი ცოლად". ფეროზის სამფლობელოთა
შემდგომი ბედიც ცნობილია მემატიანისათვის. მეფე ბაქარმა,
მირიანის უფროსმა ვაჟიშვილმა თავის "დისიძეს" ფეროზს,
"რომელსა აქუნდა რანი ბარდავამდის მიცემული მირიანის-
გან, ...მისცა მის წილ საშვილდოთგან მიღმართ ქვეყანანი ვიდ-
რე თავადმდე აბოცისა. მაშინ და ნათელ იღო ფეროზ და ერმან
მისმან" – ამბობს მემატიანე. მაშასადამე, ბაქარს ფეროზისთვის
უკვე საკუთრივ ქართლის ტერიტორია დაუთმია. ფეროზი, რო-
გორც ჩანს, საშვილდის ერისთავი გამხდარა. სწორედ ამ
დროს გაქრისტიანდა ფეროზი. აქ ისეთსავე ტოლობას ეხედავთ
ტერიტორიულსა და კულტურულ იდენტობას (ამ შემთხვევაში
ქრისტიანული რელიგიის სახით) შორის, როგორც მირიანის
დრომდე "ერისთავთა ქართლისათა"-ს შემთხვევაში. როდესაც
ფეროზს მირიანისაგან "რანი ბარდავამდის" ე.ი. არა საკუთრივ
ქართლის სამეფოს მიწა-წყალი ჰქონდა მიცემული, ეს-მაინ არ
ავალდებულებდა, ქრისტიანი გამხდარიყო. მაგრამ, როდესაც

მისმა სამფლობელომ ქართლის საერისთავოთა ფარგლებში გადმოინაცვლა, ვითარება შეიცვალა "და მაშინდა ნათელ იღო ფეროზ და ერმან მისმან".

ბაქარის შვილის – მირდატის ძის – ვარაზ-ბაქარის დროს, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, შემოვიდნენ სპარსნი "ხარკისა დადებად". ვარაზ ბაქარი "ეზრახა" სპარსთა ერისთავს და ითხოვა მშვიდობა მისგან. ამის საპასუხოდ სპარსთა მხარის პირობა ასე ჟღერდა "პირველად მომეც რანი და მოვაკანი, რამეთუ საზღვართა სპარსეთისგანთა არს, ... ხოლო თქვენდა კმა არს ქართლი..." ზავის შედეგად სპარსთა ერისთავს პეროზის "შვილნი" ტყვედ წაუყვანია, ხოლო მათი ქვეყანა (იგულისხმება სამშვილდითგან ვიდრე თავადმდე აბოცისა) "საზღვარი ქართლისა მოსცა ვარაზ-ბაქარსვე" [ყაუხჩიშვილი 1955: 136-137]. ზავის პირობებით, მაშასადამე, ქართლის მეფეს სპარსელთათვის დაუთმია ის ტერიტორია, რომელიც არ შედიოდა საკუთრივ ქართლის სამეფოს საზღვრებში. ამიტომ აქ ტერმინი "მოულო საზღვარი" ანუ წაართვა სამეფოს ტერიტორია არ არის ნახმარი, პირიქით, ხაზგასმულია, რომ "საზღვარი ქართლისა მოსცა ვარაზ-ბაქარსვე". შესაბამისად, ასეთი დანაკარგი მემატიანისა და, უნდა ვიფიქროთ, თავად ქართული *ეთნი*სთვისაც არ იქნებოდა ტრაგედიის ტოლფასი. სულ სხვაგვარი ვითარებაა, როდესაც საკუთრივ ქართლის „სამეფოს საზღვარს" მიიტაცებს მოწინააღმდეგე.

საკუთრივ ქართლის სამეფოს საზღვრის (ე.ი. ტერიტორიის) დაკარგვა ავტორის მიერ განცდილია, როგორც კატასტროფა – ღვთის რისხვა, რომელიც ქართველებს დაატყდათ თავს იმის გამო, რომ ღვთის წინაშე ცოდვა გაამრავლეს. მემატიანე ორ ასეთ შემთხვევას ადარებს ერთმანეთს. ერთი ვახტანგ გორგასლის მცირეწლოვნობის ჟამს მოხდა. ავტორი გვიყვება, თუ როგორ შემოიჭრნენ "ოვსნი" და ააოხრეს ქართლი "თავითგან მტკვრისა, ვიდრე ხუნანამდე". მაგრამ ვერ დაიპყრეს ქვეყანა, ტყვედ წაიყვანეს ვახტანგის უმცროსი და – "სამისა წლისა ქალი". მტრის მიერ ქვეყნის აოხრების და აწიოკების აღწერას მოსდევს კულმინაციური მომენტი იმ უბედურებისა, რომელიც ქართველთ თავს დაატყდათ: "გამოვიდნეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქუემოთ კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრის-წყლითგან ვიდრე ციხე-გოჯადმდე." სწორედ ამ დროს, როცა ბერძნებმა საკუთრივ ქართლის სამეფოს საზღვრები გადმოლახეს და მისი ტერიტორია მიიტაცეს, "მაშინ იწყო გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა" [ყაუხჩიშვილი 1955: 146]. მაშინ მემატიანე "ერს" ათქმევინებს:

„განვამრავლეთ ცოდვა ღმრთისა მიმართ, და არა კეთილად ვიპყართ სჯული ქრისტესი და წესი იოვანეს მცნებისა. სამართლად მოაწია ღმერთმან ჩუენ ზედა ესე რისხუა, რამეთუ მიგუცნა ჩუენ წარტყუენად უცხოთა ნათესაეთა, და მიგვიღო ჩუენ საზღვარი ბერძენთაგან, ვითარცა მიული ვარაზ-ბაქარს მეფესა კლარჯეთი. და იგი ცოდვითა ვარაზ-ბაქარისითა მოიწია, რამეთუ ვერ კეთილად ეპყრა სჯული ქრისტესი. ხოლო ესე არა მეფეთა ჩუენთა ცოდვისაგან იქმნა, არამედ ერისა ცოდვისაგან" [ყაუხჩიშვილი 1955: 146].

ეს პასაჟი ამოღებულია "ქართლის ცხოვრების" იმ ნაწილიდან, რომელიც გამოყოფილია სათაურით "ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა". ჩანს, რომ "ვახტანგ გორგასლის ცხოვრება" აშკარად იცნობს და ეყრდნობა "ქართლის ცხოვრების" ვახტანგამდელ საისტორიო ტრადიციას; ვარაზ-ბაქარი, ის მეფეა, რომლის დროსაც შემოვიდნენ სპარსნი, ნაწილობრივ, მის შესახებ ზეგით უკვე ვისაუბრე. ის, "ქართლის ცხოვრების" მიხედვით, მართლაც ცოდვილი მეფეა: "ესე იყო კაცი ურწმუნო და მოძულე სჯულისა". მის დროს მართლაც განდგნენ კლარგნი ვარაზ-ბაქარისა ან და მიერთნეს ბერძენთა... და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვითგან არსიანთამდე. და დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი თვინიერ კლარჯეთისა და ჰერეთი და ეგრისი" [ყაუხჩიშვილი 1955: 136-137]. ასევე, როგოც ცოდვილსა და ურწმუნოს იცნობს და მოიხსენიებს ამ მეფეს გორგასლის მემატიანეც და წინამორბედი, მემატიანის მსგავსად, თელის, რომ სახელმწიფო ტერიტორიის დაკარგვა სწორედ ამ ნადენილ ცოდვათა შედეგად მოვლენილი სასჯელი იყო. ავტორის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია: ბერძნებმა ქართლის სამეფოს ტერიტორია მიიტაცეს ვარაზ-ბაქარის მეფობის დროს. ეს თვით ვარაზ-ბაქარის ურწმუნოების ბრალია. მსგავსი სიტუაცია გორგასლის დროსაც განმეორდა, მაგრამ ამაში მეფე დამნაშავე არ არის – ის მორწმუნე და ღვთისმოშიში მეფეა... ამიტომ ავტორი თვით ქართველებს ათქმევინებს: ეს უბედურება ჩვენი ურწმუნოების გამო მოხდაო; ამგვარად, ჩანს, რომ ტერიტორიის დაკარგვა: "საზღვრის მოღება" და ქვეყნის "დაპყრობა" მატიანეში შეფასებულია, როგორც ყველაზე მძიმე სასჯელი, რომელიც ცოდვათა და და უდმრთოებათა გამო ეწევა ქვეყანას.

საერისთაეოთა ნუსხისა და მათი საზღვრების მშრალი ჩამონათვალის გარდა "ქართლის ცხოვრება" ტერიტორიულ-გეოგრაფიულ ინფორმაციას მაშინაც გვაწვდის, როცა სამეფო სახლის წევრების ტერიტორიულ-უფლებრივ საკითხებზეა საუბარი.

მაგალითად, "ქართლის ცხოვრება" საკმაოდ დეტალურ ცნობებს შეიცავს მირიანის გვერდითი შტოს – რევიანების სამფლობელოს შესახებ და იმ უფლებრივ-პოლიტიკურ რეალიებს, რომლებიც ბაქარიანებსა და რევიანებს შორის მომხდარა. თუ ჩვენ რევიანების შესახებ გამოთქმულ რეპლიკებს ამოკრეფთ მირიანის "ცხოვრებიდან", მისი შვილის, ბაქარის "ცხოვრებიდან" და ვახტანგ გორგასლის "ცხოვრებიდან", შეეძლებთ, რომ თვალი გავადევნოთ რევიანთა სამფლობელოების ცვლილებათა დინამიკას IV-V სს-ის მანძილზე.

> „და მეფობდა მირიან მუნ ქართლს, რანს, პერეთს და მოეკანს. და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრის წყალამდე; და მისცა ძსა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი, და დასუა იგი უჯარმას, რევ და ცოლი მისი სალომე, ასული თრდატისი, და ცხოვნდებოდეს იგინი უჯარმას" [ყაუხჩიშვილი 1955:70-71].
>
> „მაშინ მეფემან ბაქარ, შუამდგომელობისა ბერძენთა მეფისა და სპარსთა მეფისათა, დაწერა ხელითა-წერილი ძმისწულთა მისთა დედისა მათისა სალომესგან ესრეთ, ვითარმედ: "ვიდრემდის იყოს ნათესავი ბაქარისი, რომელსა ეძლოს პყრობა მეფობისა, მისი იყოს მეფობა, და არაოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რევისთა"... მაშინდა მოიყვანნა ძმისწულნი მისნი და მისცა კუხეთი, და დასხნა რუსთავს ერისთავად" [ყაუხჩიშვილი 1955:131].

„ნათესაეისაგან მირიან მეფისა მორწმუნისა ვახტანგ და დანი მისნი დარჩომილ იყვნეს: იგინი იყვნეს ნათესაენი ბაქარ მირიანის ძისა. ხოლო მირიან და გრიგოლ იყვნეს ნათესაეისაგან რევისა, მირიანისივე ძისა, და აქუნდა მათ კუხეთი, და ცხოვნდებოდეს რუსთავს ციხე-ქალაქსა. რამეთუ შემცირებულ იყვნეს ურთიერთსა კლვეთა" [ყაუხჩიშვილი 1955: 159].

როგორც ვხედავთ, მირიანის დროს რევს აქვს კახეთი და კუხეთი. როგორც ჩანს, ეს ერთი საერისთავოა ამ დროს ცენტრით უჯარმაში: შეადარე "ფარნაეაზის ცხოვრების" საერისთაოთა სია [ყაუხჩიშვილი 1955:15].

შემდეგ, ბაქარის დროს რევიანები მხოლოდ კუხეთს ფლობენ და სხედან რუსთავში ერისთავად. ე.ი. კუხეთი ცალკე საერისთაოდ გამოყოფილა და რუსთავი კუხეთის საერისთავოს ცენტრი გამხდარა.

შემდეგ, ვახტანგ გორგასლის დროს რევის შთამომავლებს მირიანსა და გრიგოლს ვხედავთ ისევ ციხე-ქალაქ რუსთავში

კუხეთის მფლობელად, მაგრამ უკვე არა ერისთავად. როგორც "ვახტანგ გორგასლის ცხოვრების" ერისთავთა ნუსხაშია მითითებული, კახეთი და კუხეთი ისევ ერთი საერისთავოა, როგორც მირიანის სიცოცხლეში იყო, მაგრამ ამ საერისთავოში რევიანები აღარ ერისთავობენ, რადგან ერისთავად აქ დასახელებულია ეინმე "დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა" [ყაუხჩიშვილი 1955: 185].

ამგვარად, ცხადია, "ქართლის ცხოვრება" ტერიტორიას განიხილავს პოლიტიკურ ძალაუფლებასთან, დინასტიური და არისტოკრატული წარმომავლობის ლეგიტიმურ უფლებებთან მჭიდრო კავშირში. სივრცე და ტერიტორია აქ, უპირველეს ყოვლისა, სამფლობელო თუ საგამგეოა, ეს არის საზღვარი, სადაც ესა თუ ის საგვარეულო შტო თუ დინასტია თავის ლეგიტიმურ უფლებებს ახორციელებს.

ვფიქრობ, მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, თუ რას ნიშნავს "ქართლის ცხოვრებაში" *საზღვარი ქართლისა*: ეს არის საკუთრივ ქართული სახელმწიფოს ტერიტორია, სადაც ქართველთა მეფის (თუნდაც სასანური წარმომავლობის) სუვერენული უფლებები ვრცელდება. ეს ის ტერიტორიაა, სადაც ქართველი წარჩინებულები (ანუ არისტოკრატული *ეთნი*) ელიან და მოითხოვენ კიდეც "კეთილად პყრობას" და "არა აღრევას" უცხო ერთობასთან. საკუთრივ ქართლის საზღვრებშია სწორედ წარმოდგენილი ის 8 საერისთავო და სასპასპეტო, რომელიც პირველითგანვე ფარნაეაზის შექმნილად არის გამოცხადებული. საერისთავოთა ჩამონათვალი თავისი საზღვრებით ფაქტობრივად არის ქართლის სამეფოს ლეგიტიმური ტერიტორიის პოლიტიკური მოდელი. ამ ტერიტორიას და მისი მფლობელი *ეთნის* ეთნოკულტურულ იდენტობას შორის არა უბრალოდ მჭიდრო კავშირია, არამედ არსებითად ტერიტორიალური და ეთნიკური იდენტობა თანხვდენილია.

"ქართლის ცხოვრებაში" გეოგრაფიული აღწერილობის ლოგიკით ყველა შემთხვევაში ტერიტორია ისევ მითითებული, რომ ჩანს, ავტორი მისი დახასიათების არაკითარ აუცილებლობას არ ხედავს, რადგან ეგარაუდება, რომ ამ სივრცეს მკითხველი ისედაც იცნობს. ეს არის „მისი" სივრცე, „მისი" ტერიტორია. სივრცე, უპირველეს ყოვლისა, არის დინასტიის თუ ადგილობრივი არისტოკრატიის ძალაუფლების სიმბოლო – სამფლობელო და საგამგეო ტერიტორია. აქ ტერიტორიის ფლობის სამართლებრივი მომენტი უფროა გახაზული, ვიდრე შემეცნებითი თუ წმინდა გასართობ-ლიტერატურული.

"ქართლის ცხოვრების" დამოკიდებულება ტერიტორიის მი-

მართ მოწმობს, რომ ეს არის "შიდა მოხმარების" ისტორია. მისი მიზანი არ არის გარე სამყაროს აღწერა, სხვადასხვა ხალხებისა თუ ქვეყნების შემეცნება, ანუ ის, რასაც ლორენსი "იმპერიული პროექტის ნაწილს" უწოდებს. აქ მთავარია სამფლობელო, მისი საზღვრები, როგორც ის არეალი, სადაც სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლება ვრცელდება და სადაც ადგილობრივი არისტოკრატული *ეთნი* თავის სოციალურ და კულტურულ იდენტობას ახორციელებს.

თავი VI
"ქართლის ცხოვრების" *შესავალი* და მისი ტერიტორიული კონცეფცია

შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში ცენტრალური ადგილი ისტორიული ხასიათის თხზულებათა კორპუსს – "ქართლის ცხოვრებას" უჭირავს. ეს არის განგრძობადი ისტორიოგრაფიული ტრადიცია, რომელიც ახასიათებს საქართველოს წარსულს დასაწყისიდან XVII საუკუნის ჩათვლით. აღნიშნული კრებული შედგება სხვადასხვა პერიოდში შექმნილი საისტორიო თხზულებებისაგან, რომელთა შორის ყველაზე მეტ დაკვას თანამედროვე მეცნიერებაში იწვევს მისი დასაწყისი ნაწილი, რომელშიც ტრადიციულად გამოყოფენ დასაწყისიდან V ს-მდე, და V-VIII სს. ისტორიულ თხრობას. ორივე ეს ნაწილი სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენება აგრეთვე როგორც "ქართლის ცხოვრების დასაწყისი ნაწილი". პირველი თხზულების სახელწოდება არის "ცხოვრება მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესაეთა" (მოკლედ "მეფეთა ცხოვრება"). თანამედროვე ქართულ სამეცნიერო წრეებში მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, მისი ავტორია ლეონტი მროველი (XI ს.), ხოლო მეორე ანუ "ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" – მიეწერება ამავე საუკუნის ავტორს – ჯუანშერს. მიუხედავად დამკვიდრებული შეხედულებისა, "ქართლის ცხოვრების" დასაწყისი ნაწილის როგორც შედგენილობა, დაწერისა და რედაქტირების თარიღები, ისე ტექსტის ატრიბუცია მეცნიერთა შორის დღემდე კამათის საგნად არის ქცეული. მკვლევართა ნაწილი მათ VIII ს-ით ათარიღებს, არსებობს ამ ძეგლის ცალკეული მონაკვეთების უფრო ადრეული ხანით დათარიღების ცდებიც.

როგორც ვნახეთ, "ქართლის ცხოვრება" აშკარად იდეოლოგიური ხასიათის ძეგლია. კერძოდ, დასაწყის ნაწილში გამოიკვეთება ქართლის "ხოსროიან" მეფეთა იდეოლოგია ("ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ბაგრატიონთა გამეფებამდე ქართლის სამეფოს ძირითადად ორი დინასტია განაგებდა – ფარნავაზიანები ძვ.წ. III – ახ.წ. III სს.-ში და "ხოსროიანები" – სასანიანთა გვერდითი შტო – III-VIII სს.-ში), ხოლო ვრცელ მეფეთა ცხოვრებებს მეფობის ლეგიტიმაციის ტექსტების ფუნქცია აქვთ. ასეთი ხასიათის ტექსტები შესაბამისი იდეოლოგიური მიზნით, სა-